დასკვნა:**დ12. 3723059001**
თარიღი:**28/02/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის,

სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

მიმდინარე წლის 28 თებერვალს კომისიაზე განხიულული იქნა შემდეგი საკითხები:

1) მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“(კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

2)„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

3),,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

4)„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივლისის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

პირველ პროექტზე დასრულდა საჯარო-ადმინისტრაციული

წარმოება,რომლის მიმდინარეობის დროსაც შენიშვნები და რეკომენდაციები არ შემოსულა.აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულომ მერიას გადაუგზავნა რეკომენდაციები და მოხდა მათი ნაწილობრივ გათვალისწინება.

მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ გადაწყვიტა მხარი დაუჭირა წარმოედგენილ პროექტს.

მესამე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მხარი დაუჭიროს სამოქმედო გეგმის დამტკიცებას.

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთაღნიშნული საკითხები გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა -დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი